ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

17 სექტემბერი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 175–176 (10 589) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
რესპუბლიკის
სპორტული თამაშები

მიმდინარეობს რეგიონალური შეჯიბრებები

ფულადი სტიმული სტიმულად, მაგრამ...

ვინც ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის სპორტული თამაშების მოკრივეთა თბილისის რეგიონალურ ტურნირს დაესწრო, დაგვეთანხმება, რომ ორთაბრძოლები არ ჰგავდა იმ უფერულ შეხვედრებს, რომლებსაც ბოლო ხანს უხვად „სთავაზობდნენ“ მაყურებელს საქალაქო პირველობების მონაწილენი. ადრე დაბალი კლასი იმით იყო განპირობებული, რომ ასეთი მასშტაბის შეჯიბრებებზე გამოსასვლელად იშვიათად თუ შეიწუხებდნენ თავს „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“. ამჯერად კი რინგმა არაერთი ქართული კრივის ელიტის წარმომადგენელი მიიზიდა. რასაც მარტო იმით ვერ ავხსნით, რომ გამარჯვებულნი და პრიზიორები, მათი მწვრთნელები ფულად ჯილდოს მიიღებენ. ეს დიდი სტიმულია, მაგრამ ორთაბრძოლები უფრო ახალგაზრდობის გამარჯვებისკენ დაუოკებელმა სწრაფვამ გაამწვავა. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია 17 წლის ბესიკ მანჯავიძის (51 კგ) გამოსვლა. მან ჯერ პირველ დღეს მიიქცია ყურადღება, როცა თავისზე უფრო გამოცდილ გიორგი ქოჩიაშვილს სძლია. ფინალში კი მასთან შეხვედრაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ რუდიკ კაზანჯიანს მთელი შესაძლებლობების გამოვლენა დასჭირდა მიზნის მისაღწევად. არც ქვემსუბუქი წონის, თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულ კობა გოგოლაძეს ჰყოლია ფინალში იოლი მეტოქე — ეს იყო კობა წკრიალაშვილი, აქაც გამოცდილებამ თქვა თავისი სიტყვა.

პაატა გვასალიამ (60) პირველსავე რაუნდში ფარ-ხმალი დააყრევინა ჯან მაკვაროვს, კახაბერ ჩიქვინაძემ (63,5) მეორე რაუნდში აშკარა უპირატესობით სძლია თემურ გოლეთიანს, ილია ფაროიანმა (67) — დათო ქრისტესაშვილს, თეიმურაზ კეკელიძემ (71) — ნუკრი სუხაშვილს, გია მუზიგულაშვილმა (75) — ზაზა ფანჩულიძეს, დიმიტრი ავდალიანის მეტოქე ფინალში გიორგი კანდელაკი არ გამოცხადდა რინგზე და დიმიტრის უბრძოლველად მიენიჭა ჩემპიონობა. ასევე უბრძოლველად მოიპოვეს პირველობა გიორგი სულაძემ (48), რამაზ ფალიანმა (54), ალექსანდრე სენინმა (81) და მძიმე წონის ზურაბ ხარსანიამ. ამ მოკრივეებს ტურნირზე საერთოდ არ ჰყოლიათ მეტოქეები და ვფიქრობთ, ამით ერთგვარად დაიჩრდილა კიდეც ეს შესანიშნავი ტურნირი, რაც მწვრთნელების დაფიქრებასა და სათანადო დასკვნების გამოტანას საჭიროებს.

უშანგ ჭიჭინაძე

ის ქუბა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი

ორთვიანი საზაფხულო არდადეგების შემდეგ იწყება ქართველ მორაგბეთა უმთავრესი საშინაო შეჯიბრება — ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ერთგვარად საიუბილეოა, რაკილა რიგით 25-ეა. წინა პირველობებისგან განსხვავებით, ტურნირი ამჯერად ორ ჯგუფად, ზედმიწევნით წრიული სისტემითა და „შემოდგომა — გაზაფხულის“ განრიგით ეწყობა. პირველ ჯგუფში ათი გუნდი ასპარეზობს, მეორეში — თერთმეტი. სიახლეა ისიც, რომ ძლიერთა ლიგის თამაშები ამიერიდან შუა კვირაში გაიმართება. აი, ხვალაც, ოთხშაბათს, აგრარული უნივერსიტეტის სტადიონზე „შევარდენი“ ტექნიკური უნივერსიტეტის „ყოჩებს“ უმასპინძლებს. თამაში 17 საათზე დაიწყება.

საიუბილეოც, განსხვავებულიც...

...და არა სამოცი

ტურნირმა მონაწილეთა სარეკორდოდ მცირე რაოდენობას მოუყარა თავი. მშვილდოსანთა ასპარეზობაზე, რომელიც თბილისის ძველი სტუდქალაქის სტადიონზე ტარდება, რის ვაი-ნაჩრობით სულ 18 სპორტსმენი შეგროვდა. არადა, დედაქალაქის ათივე რაიონს რომ მოეხერხებინა მშვილდოსანთა გამოყვანა „ცეცხლის ხაზზე“, 60 მშვილდოსანი მაინც უნდა შეკრებილიყო — თითოეულ კოლექტივს ხომ 3 ქალისა და ამდენივე ვაჟის გამოყვანის უფლება ჰქონდა. ერთადერთი სრული გუნდით ისპარეზა მხოლოდ ისნის რაიონმა და ისიც მარტო ქალებით. მესამე მშვილდოსანი ვაჟი არც ამ რაიონში მოიძებნა. დედაქალაქის რეგიონალურ თამაშებზე თითო „დელეგატით“ გამოცხადდნენ კრწანისის, საბურთალოსა და ჩუღურეთის რაიონები. ორით — მთაწმინდის, სამით — გლდანისა და ოთხი მშვილდოსნით — ნაძალადევის რაიონები.

საბედნიეროდ, მონაწილეთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის უკვე სახელმოხვეჭილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ნატო ნასარიძე და ხათუნა ქვრივიშვილი, სპორტის ოსტატები — სულიკო თოფურია და რეგინა მჟავანაძე. მათ გარდა ოთხი ოსტატობის კანდიდატი და ორი პირველთანრიგოსანი ხუთ დღეს იბრძოლებენ „ფიტას დიდი წრის“ პროგრამით გამარჯვებისა და საქართველოს სპორტული თამაშების ფინალის საგზურებისთვის. ყველა მონაწილე ალბათ იერიშს მიიტანს ნასარიძის მიერ შარშან დამყარებულ რესპუბლიკურ რეკორდზე. ეს რეკორდი კი 1334 ქულას უდრის.

გუშინ, ასპარეზობის პირველ დღეს, ქალები 70 და 60, ვაჟები 90 და 70 მეტრიდან სტყორცნიდნენ ისრებს. დღეს კი 50 და 30 მეტრიდან შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

გუშინ...

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში საქართველოს პირველი სპორტული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა თამაშების რეგიონალური ტურნირების მიმდინარეობა და ფინალური ასპარეზობისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები. ინფორმაციებით გამოვიდნენ ცალკეული რეგიონების წარმომადგენლები, ყურადღება გამახვილდა ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებასთან თავჩენილ პრობლემებზე.

უახლოეს ამოცანებზე ისაუბრა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილემ ჯანსუღ ბაგრატიონმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი კახი ასათიანი.

● **ბრიუსელი.** ქალაქის ტრადიციული მარათონი, რომელიც კვირას გაიმართა, მოიგო ანატოლი კორეპანოვმა (იევესკე) — 2:18.04. მეორე და მესამე ადგილები პიტერ ფლემინგს (ინგლისი) და რონი ლიგნელს (ბელგია) ხვდათ. ისინი გამარჯვებულს ჩამორჩნენ შესაბამისად 18 და 85 წამით.

● **შეფილდი.** მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე 200 მეტრი ყველაზე სწრაფად ამერიკელმა [illegible] ტორენსმა გაირბინა — 22.34 [illegible] ანსკელი გალინა მალჩუგინას [illegible] დეგი 22.96 გახლდათ..

ტურნირები შედეგე

● **ათენი.** დამთავრდა იუნიორ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. მთავარი პრიზისთვის ბრძოლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და შვეციის წარმომადგენლები. პირველი ტაიმი იუგოსლაველთა უმნიშვნელო უპირატესობით აღინიშნა — 8:7, სამაგიეროდ, მეორეში მათ ბრწყინვალედ ითამაშეს და გაიმარჯვეს 27:18. მესამე ადგილი დაიკავეს საბჭოთა ხელბურთელებმა, რომლებმაც აჯობეს ესპანეთის გუნდს — 27:25.

● **ჟენევა.** აქ გამართულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალი, (საპრიზო ფონდი 250 ათასი დოლარი) ავსტრიული იყო: ერთმანეთს შეხვდნენ თომას მუსტერი და ჰორსტ სკოფი. გაიმარჯვა უფრო გამოცდილმა მუსტერმა — 6:2, 6:4.

ქუთაისში ჩამოვა „პორტო“ და „ტულუზა“

სპონსორობა რომ სპორტის ღონეა, არაერთხელ თქმულა. მხოლოდ სპონსორთა თანადგომამ მისცა შესაძლებლობა ქუთაისის ბალახის ჰოკეისტთა გუნდს ესპანეთში გამგზავრებულიყო და მონაწილეობა მიეღო ქ. ელჩეს მეშვიდე საერთაშორისო ტურნირში. აქვე დავასახელებთ სპონსორებს — ქუთაისის საერთაშორისო სამოგზაურო ბიურო „სპუტნიკი“, ქალაქის პრეფექტურა, ფინგანის საქალაქო განყოფილება და ფირმა „ფრესკა“.

ქუთაისელ ბალახის ჰოკეისტთა გუნდს „ფრესკა-იმერეთი“ ჰქვია. თავისთავად იგულისხმება, რომ ფირმა „ფრესკას“ მჭიდრო კავშირი აქვს გუნდთან.

— ჩვენს დელეგაციას თურმე მადრიდში ჩაფრენისთანავე ელოდა „სიურპრიზი“ — ამბობს გუნდის მთავარი მწვრთნელი თემურ არჩაია, — აეროპორტში დაგვხვდნენ სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლები, საბჭოთა დროშა და ჰიმნი შემოგვთავაზეს, რაზედაც კატეგორიული უარით ვუპასუხეთ. რაკი თავისი ვერ გაიტანეს საბჭოთა „მასპინძლებმა“, ავტობუსი აღარ გამოყვეს და მიგვატოვეს ავტოსადგურში. იძულებული გავხდით 600 კმ ალიკანტემდე ჩვენი ხარჯებით გვემგზავრა. და მაინც, საბჭოთა საელჩოდან დამხვედრთა შორის აღმოჩნდა ერთი კაცი სერგი დაშკო, რომელმაც რუსული „ნე პოლოჟენო“ დაივიწყა და რაც შეძლო დაგვეხმარა. მეორე დღეს ჩავედით დათქმულ ადგილზე ქ. ელჩეში.

● **რომელი გუნდები მონაწილეობდნენ ტურნირში?**

— „ვისენტე“, „აფრაე“, „ელჩე-1980“, „მურუსიანა“ (ოთხივე გუნდი ესპანეთისაა), „ტულუზა“ (საფრანგეთი), „პორტო“ (პორტუგალია), ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრები და ქუთაისის „ფრესკა-იმერეთი“.

● **თვით ტურნირზე რას გვეტყვით?**

— კენჭისყრით, ჩასვლის მეორე დღეს უნდა გვეთამაშა პირველი მატჩი, მაგრამ საღამოს 6 საათზე სასტუმროში ახალდაბინავებულებს ორგანიზატორებმა მოგვაკითხეს და გვთხოვეს დღესვე, თანაც ერთ საათში, მოედანზე უნდა იყოთ, ტურნირს ვხსნით და მასპინძელთა გუნდი თქვენთან უნდა ვათამაშოთო. ეს, ცხადია, პატივი იყო, მაგრამ მგზავრობით დაღლილ ბიჭებს მაინცდამაინც არ ჰქონდათ სათამაშო განწყობა.

თამაში დაიწყო ჩვენი უპირატესობით, მაგრამ ანგარიში „სან-ვისენტემ“ გახსნა. მსაჯები ძალზე მიკერძოებით სჯიდნენ მატჩს. ანგარიში ბოლომდე აღარ შეცვლილა.

მეორე დღეს მიყოლებით სამი შეხვედრა ჩავატარეთ: ერთნაირი ანგარიშით 1:0 დავამარცხეთ „მურუსიანა“ და „აფრაე“, მაგრამ 0:1 დავმარცხდით „პორტოსთან“. ტურნირის მესამე დღეს მოვუგეთ „ტულუზას“ — 1:0 და ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებს — 5:0, ბოლო მატჩში „ელჩეს“ გუნდსაც ვძლიეთ — 3:1 და 10 ქულით მესამე ადგილი დავიკავეთ.

ტურნირი მოიგო „ვისენტემ“ — 12 ქულა, ხოლო 10 ქულით მეორე იყო „პორტო“. „პორტომ“ იმით გაგვისწრო, რომ ერთი წაგება ჰქონდა, ჩვენ — ორი.

● **დამოუკიდებელი გუნდის სტატუსით გასვლა საზღვარგარეთ და საერთაშორისო ტურნირში პირველი მონაწილეობა, ცხადია, მისალოცია და გილოცავთ, აქვე გვინდა გკითხოთ, ხომ არ დაისახა შემდგომი ურთიერთობების გზები, ასეთი გასვლები ხომ ამის შესაძლებლობას იძლევა...**

— პორტუგალიის „პორტოს“ და საფრანგეთის „ტულუზას“ ხელმძღვანელებმა შემოგვთავაზეს დავამყაროთ კონტაქტები და შეხვედრები ჩავატაროთ დელეგაციების გაცვლით, ეს გუნდები წელსვე, ოქტომბერში გვეწვევიან ქუთაისში, ვფიქრობთ, ისინი მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სპორტული თამაშების ჰოკეისტთა ტურნირში.

ესაუბრა ვ. ბაქრაძე

„არ წახვიდეთ გურიაში, ამხანაგო სმიტ!..“

თქვა პოეტმა ნახევრად ხუმრობით. დღეს კი სახუმაროდ აღარ გვაქვს საქმე. სათაურად გამოტანილი ეს სტრიქონიც უფრო საგანგაშო ვითარებამ გაგვახსენა, ვიდრე ეფექტის მოხდენის სურვილმა.

რასაც ახლა მოგახსენებთ, სიახლე არ გახლავთ, ამაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა, მაგრამ სხვა არა დაგვრჩენია რა და ამიტომ იძულებული ვართ ვიმოქმედოთ იმ პრინციპით, რომ კაცს, რაც არ უნდა შეუსმენელი იყოს, მუდმივი ჩიჩინით და თავის მობეზრებით იქნებ მაინც გააკეთებინო სასიკეთო საქმე. ასე რომ, ყველას, ვისაც ეს ეხება, კიდევ ერთხელ შევახსენებთ: მთელი შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლი სავალალო მდგომარეობაშია.

ამის გაცხადების საფუძველს კი გვაძლევს დაკვირვებათა შედეგები გეოლოგიური ექსპედიციისა, რომელმაც საინტერესო ვიზუალური და ფოტო-მასალა ჩამოიტანა. გეოლოგიის ინსტიტუტთან არსებული მოყვარულ სპორტული ნაოსნობის სექცია „ამირანის“ წევრებმა: ვ. გელეიშვილმა, ა. მალალაშვილმა, ჟ. ომიაძემ, ზ. დუდაურმა, მ. ნაცვლიშვილმა, დ. ყუფარაძემ, ზ. ხორბალაძემ, დ. პავერმანმა და ლ. ჰკუასელმა ახლახან ოთხი მცირე წყალწყვის მოტორიანი სპორტული ნავით იმოგზაურეს ასეთი მარშრუტით: სტარტი მდინარე რიონიდან, ვანი-ფოთი-პალიასტომის ტბა, ბათუმი_ფოთი. სპორტულ-სამეცნიერო „კრუიზი“ მიზნად ისახავდა ეკოლოგიური ვითარების გაცნობას, გეოლოგიურ დაკვირვებებს და ამ სახის ტურიზმის პოპულარიზაციას.

ეკოლოგიაზე თავშიც მოგახსენეთ და ახლაც გეტყვით. ექსპედიციის წევრების მონათხრობმა შეგვზარა: რიონის სანაპიროზე ნახავთ დახოცილ შინაურ ცხოველებს, მდინარისა და ზღვის შესართავთან გაშენებულია სალორე, რომელიც კარგს არაფერს უქადის წყლის სისუფთავეს, ფოთის სანაპირო, ისევე როგორც სხვა, მიმდებარე დასახლებებისა, ნაგვის ბუდედ ქცეულა, ქობულეთის საზღვაო ზოლი 3 კმ-ის მანძილზე ცელოფანის პარკებით არის მოფენილი (რამდენჯერმე ნავების წინსვლასაც შეუშალა ხელი), პლაჟებზე დახვავებულია ხე-ტყე, დამსვენებელთა „კულტურაზე“ კი ახალს ნამდვილად ვერაფერს ვიტყვით. არადა, არანაირი სამსახური არ ზრუნავს ამის აღსაკვეთად.

ახლა სამეცნიერო მიზნებზე: ექსპედიციის მონაწილეებს გადაწყვეტილი აქვთ წყლისა და შლამის ანალიზების ჩატარება, ამისთვის კი საჭიროა სხვადასხვა ორგანიზაციების დაინტერესება, რათა ერთობლივი ძალისხმევით და კომპეტენციით დადგინდეს, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს რესპუბლიკაში გავრცელებული ჭორი სხვადასხვა დაავადებების შესახებ.

ამ ჯგუფის წევრებისათვის ეს ასეთი სახის პირველი ექსპედიცია არ გახლავთ. ისინი უკვე იყვნენ ალაზანსა და მტკვარზე (მინგეჩაური-კასპიის ზღვა, [illegible]). კლუბ „ამირანის“ უფროს თაობას კი გამოცდილება არ აკლია — ორ ათეულ წელზე მეტხანს მოგზაურობდნენ საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა რესპუბლიკების ზღვებსა თუ მდინარეებზე. მათზე პრესაშიც ბევრი დაიწერა. ახალგაზრდებს ახლაც მხარში უდგას „ძველი გვარდია“ — გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გელეიშვილი ბიჭებთან ერთად იყო ამ მოგზაურობაში და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა მათ.

ექსპედიციას დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის სამდინარო-საზღვაო ინსპექციის უფროსმა თ. შარაშენიძემ და ფოთის ზონის სამდინარო-საზღვაო ინსპექციის უფროსმა ზ. პარკაიამ, მოგზაურობის სპონსორი კი გახლდათ საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობის ასოციაცია „თანამეგობრობა“.

დაბოლოს: ფოთში ერთი ლამაზი ადგილია, ნიკო ნიკოლაძის კუნძულს ეძახიან. ამ კუნძულზე ცხოვრობს ვინმე ვაჟა წიფურია, განათლებით ენერგეტიკოსი, რომელსაც თავისი მიკროსამყარო აქვს შექმნილი. კუნძულზე არის თევზსაშენი და ულამაზესი კაკლის ხეივანი. ათასობით კაკლის ნერგს უსასყიდლოდ არიგებს და ეს ახარებს ამ კაცს. მან უამინდობის დროს შეიფარა ჩვენი მოგზაურები, სამი დღე მასთან ცხოვრობდნენ და პატივისცემით იხსენებენ ბატონ ვაჟას.

ეს იმ კუნძულზე, საერთოდ კი — „არ წახვიდეთ გურიაში, ამხანაგო სმიტ!“

გ. ლეონიძე

SOS!

გვიშველეთ, რა ზიანი მოგვიტანა სპორტული ბაზების განადგურებამ?

დღემდე ყველას გვეგონა, რომ სპორტული ბაზები ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი წრთობის ადგილია, ასეა ყველგან, მთელს მსოფლიოში, მაგრამ ზუგდიდელი პედაგოგი ქალბატონი ლამარა ქირია პირიქით ამტკიცებს. გამოხატავს რა უმცირესობის აზრს ქალბატონი ლამარა ერთი სპორტული ბაზის გამო, აცხადებს: „ჩვენ არ გვინდა აქ იყოს მოედანი, იგი ახალგაზრდებს აფუჭებს, ყველა უსაქმური აქ იყრის თავს და გვიან ხალამომდე ყიჟინია, უცენზურო სიტყვები ისმის, ბავშვი გამიფუჭდა, სწავლაზე გული აიყარა, არ ვიცით რა ვქნათ“.

პედაგოგს მხედველობაში ჰქონდა ზუგდიდში წერეთლის ქუჩაზე ღვინის ქარხნისა და პურკომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებული სპორტული ბაზა, რომელიც ამ ქუჩაზე მცხოვრები ახალგაზრდების დაჟინებული მოთხოვნით მოეწყო. „ლელო“ თავის დროზე წერდა ამ სპორტული ბაზის მოწყობის თაობაზე ახალგაზრდების სამართლიან მოთხოვნაზე. როგორც ვთქვით, სპორტული ბაზა გაშენდა, მაგრამ... ახლა, ოთხი წლის წინათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ბრძოლით მიღწეული, თვალსა და ხელს შუა იკარგება, ახალგაზრდებს სპორტულ ბაზაზე ველარ ნახავთ, ტერიტორია გადაუხნავთ, ამბობენ ზოგიერთისთვის აქ საკარმიდამო ნაკვეთებიც გამოუყვიათო, რკინის ლობე ბევრგან გარღვეულია და პირუტყვი დათარეშობს, იჭაურობა სანაგვედ უქცევიათ. ახალგაზრდები მოითხოვენ სპორტული ბაზის აღდგენას, მაგრამ ზოგიერთი, მათ შორის როგორც ზემოთ ვნახეთ, პედაგოგიც კი, წინააღმდეგია. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია, ერთი პედაგოგის შვილის გამო, რომელმაც თურმე სწავლაზე გული აიყარა, სპორტული ბაზა უნდა მოვშალოთ?

სპორტული ბაზა უმოკლეს დროში აუცილებლად უნდა აღდგეს, ამ აზრს იზიარებს მოსახლეობის დიდი ნაწილი, პურკომბინატისა და ღვინის ქარხნის ხელმძღვანელობა. აქვე გვინდა ხაზგასმით ვთქვათ, ვილაცვილაცეებს ხომ არ ეჩვენებათ, რომ ზუგდიდში სპორტულ ბაზებს პატრონი არა ჰყავს? ამას წინათ ხომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დარბაზი დაარბიეს, ფანჯრები ჩალეწეს, ტანვარჯიშის ინვენტარი გაანადგურეს, ძვირადღირებული ხალიჩები დაჭრეს, ნაწილი გაიტაცეს...

სპორტულ ბაზებს ნურაფერს ვერჩით, მიზანში ნუ ამოვიღებთ, დღევანდელ და ხვალინდელ საქართველოს აუცილებლად სჭირდება ისინი, სჭირდება როგორც ერის ფიზიკური და სულიერი მხნეობის სამჭედლო.

ნუგზარ ჟვანია,
„ლელოს“ საკ. კორ.

„მერანი“ № 15-16

საგაზეთო ქაღალდის დეფიციტი „მერანსაც“ შეეხო. ამიტომაც, ამჟამად მისი რვაგვერდიანი ნომერი ორ (15_16) ნომრად გამოვიდა.

„მერანის“ ამ ნომერში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაჟთა მეოთხედფინალური მატჩების შედეგებია განხილული. აქვე გაეცნობით ყოველი წყვილის ოითო პარტიას.

ფოთში დამთავრებულ მოსწავლეთა პირველ საერთაშორისო ლიატურნირს ეხება ვასილ ვაშაკიძის წერილი. ეს შეჯიბრება ფოთის სპორტული მომსახურების კოოპერატივ „იმედის“ (თავმჯდომარე გელა ღვამბერია) თაოსნობით ჩატარდა. მსოფლიოს ექსჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ამ მოვლენას ეხება გივი გამრეკელის მასალა.

როგორც ცნობილია, ფილიპინებში იწყება მატჩი მსოფლიო პირველობაზე ქალთა შორის. ამასთან დაკავშირებით, მკითხველს „მერანი“ სთავაზობს კონკურსს.

იბეჭდება სხვა საინტერესო მასალები.

შეგახსენებთ, რომ „მერანი“ სამეურნეო ანგარიშზე გამოდის. მას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე სპონსორი. სპონსორობის უფლება კი ყველას აქვს, მათ შორის · კერძო პირებს.

(ბანკი და ანგარიში: თბილისი, საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკი. ანგარიში № 100609529 გაზეთი „მერანი“).

„მონცაზე“ გამარჯვებული ბოლო იტალიელი

1966 წელი, „მონცა“, იტალიის „გრან პრი“. სასტარტო ბილიკზე 20 ავტომობილი განლაგდა. საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო და საუკეთესო დრო აჩვენა პარკსმა („ფერარი“). მის გვერდით იდგნენ ლოდოვიკო სკარფიოტი („ფერარი“) და ჯიმ კლარკი („ლოტუსი“). ჯეკ ბრებემს („ბრებემ_რეპკო“) მესამე რიგში ეკავა ადგილი. თეორიულად იგი უკვე მსოფლიო ჩემპიონი იყო.

სტარტის შემდეგ ყველას გაუსწრო „ფერარის“ კიდევ ერთმა პილოტმა, ლორენცო ბანდინიმ (მოგვიანებით იგი გამოეთიშა ასპარეზობას), რომელსაც მიჰყვნენ ჯონ ხარტისი („კუპერ_მაზერატი“) და ჯიმ კლარკი. მათ სწრაფად მიუახლოვდნენ ლოდოვიკო სკარფიოტი და პარკსი. ჯეკ ბრებემი გამოეთიშა ასპარეზობას. სამი წრის გავლის შემდეგ დაწინაურდა სკარფიოტი.

რიჩი გინტერმა („ჰონდა“) სწრაფად წამოიწყო შეტევა, გასწრებაც მოინდომა, მაგრამ ამერიკელი ავტომრბოლი ასევე სწრაფად გამოეთიშა ასპარეზობას. სკარფიოტი კვლავ ლიდერობდა და წრის რეკორდიც დაამყარა: საათში 2 კილომეტრი სიჩქარე. მან [illegible] ედგა მისი თანაგუნდელი პარკსი, [illegible] ცდილობდა [illegible] არ მიეშვა ჯონ სარტისი და დენის ჰალმი („ბრებემ_რეპკო“).

გამარჯვება ლოდოვიკო სკარფიოტი — ეს იყო იტალიელი პილოტის ერთადერთი წარმატება „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში ალბერტო ასკარის მიერ 1952 წელს მოპოვებული გამარჯვებიდან 14 წლის შემდეგ. იტალიის „გრან პრი“ მოიგო იტალიელმა ავტომრბოლმა იტალიური ფირმის ავტომობილით.

ლოდოვიკო სკარფიოტი, რომელიც 1933 წლის 18 ოქტომბერს დაიბადა ქალაქ ტორინოში, შეძლებულ ოჯახში, დაიღუპა 1968 წლის 8 ივნისს როსფელდის მთებში შეჯიბრების წინ გამართული საკვალიფიკაციო რბოლების დროს. მისი „პორშე“ ტრასიდან გადავიდა და ბარიერს შეეჯახა.

„მთებში რბოლის მეფედ“ წოდებულმა იტალიელმა ავტომრბოლმა ამგვარი შეჯიბრება 1962 წელს მოიგო და შემდეგ „ფორმულა 1“_ს კლასში, „ფერარიში“ გადასვლაზე დათანხმდა, თუმცა კვლავ აგრძელებდა „პორშეს“ ავტომობილით მთებში გამართულ შეჯიბრებებში ასპარეზობას. ლოდოვიკო სკარფიოტიმ რბოლა სულ ახალგაზრდამ დაიწყო, პირველად 1956 წელს გამოჩნდა, როცა [illegible] სახელგანთქმული რალი „მილე მილია“ (1000 მილი).

მისი დებიუტი „ფორმულა 1“_ში შედგა 1963 წელს. ამავე სეზონში „შავი ბედაურის“ საჭესთან ლოდოვიკო სკარფიოტიმ ჯონ სარტისთან ერთად მოიგო სებრინგის 12_საათიანი და ლემანის 24_საათიანი რბოლა ლორენცო ბანდინისთან ერთად. 1964_65 წლებში მან ჯერ ვაკარელასთან, შემდეგ კი ჯონ სარტისთან ერთად „ნიურბურგ_რინგზე“ გამართული 1000 კმ_იანი რბოლა მოიგო. მისი გამოსვლა „ფერარის“ ავტომობილით 1968 წელს დასრულდა.

1966 წელს სკარფიოტის მიერ მოპოვებული გამარჯვებიდან დღემდე, „მონცაზე“ არც ერთ იტალიელ პილოტს არ გაუმარჯვია.

თარგმნა დავით ჩუბინიძემ.
„კორიერე დელა სერა“

გამოხმაურება კომისიის დასკვნაზე და ფეხბურთის ფედერაციის პასუხზე

ფედერაციის შემადგენლობა უნდა შეიცვალოს!

საკვირველია, საოცარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პასუხი კომისიის დასკვნაზე. თუ ფედერაციის წევრები ვერ ხვდებიან რა გააკეთონ, როგორ გამოვიდნენ შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან, უმჯობესია ახლავე დაუთმონ ადგილი სხვებს.

პირველ და მეორე ჩემპიონატებში არსებულ ნაკლოვანებათა გაუთვალისწინებლობამ აშკარა წაყრუებამ და „დათვურმა სამსახურმა“, რომელიც ფედერაციას გაუწიეს ზოგიერთებმა, იქამდე მიგვიყვანა, რომ მესამე ჩემპიონატში მსაჯების დაკბენის პერიოდი დაგვიდგა.

სამწუხაროა, რომ ფედერაცია ვერ ერკვევა იმაშიც, რომ ასეთმა ფეხბურთმა ბევრნი გადაამტერა ერთმანეთს და, ალბათ, ვერ გაერკვევა მანამდე, სანამ ადამიანთა მსხვერპლით არ დამთავრდება რომელიმე მატჩი. რაც შეეხება თბილისის მოსახლეობას, რომელიც სტადიონზე ნაკლებად დადის, საპრეტენზიო არაფერი აქვს, სამაგიეროდ, სადაც კი „იბერიის“ ფეხბურთელები ჩავლენ, მათ ყველგან მუშტიკრივით უმასპინძლდებიან. გავიხსენოთ იბერიელთა მატჩები ფოთში, ბათუმში, ხობში, ზესტაფონში და ამასწინანდელი თამაში ქუთაისში, რომელმაც ყველა ნეგატიური რეკორდი მოხსნა.

სწორედ ფედერაციის უკანონო სანქციებმა „იბერიის“ ფეხბურთელთა მიმართ, გულშემატკივრებს შეაძულა ერთ დროს უსაყვარლესი გუნდი, რომელსაც უწინ ტაშით ხვდებოდნენ, ახლა კი ქვებითა და სტვენით აცილებენ მოედნიდან.

ფედერაციის აზრით, სტადიონებზე ღობით უნდა გავმიჯნოთ მაყურებელი და არენა, გარშემო დავაყენოთ შეიარაღებული ძალები, ხოლო ფედერაციის მუშაკებმა, რომელთა რიცხვი თურმე 62_ია, ტრიბუნებიდან უნდა იცქირონ, მალე ალბათ, მინდვრის პრობლემის საკითხიც დადგება — ჩემპიონატის ჩასატარებლად ისეთი თვეებია შერჩეული, ბალახის საფარი საერთოდ, განადგურდება და სათამაშოდ მინდორი აღარ გამოდგება.

ის, რაც დღევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში ხდება, ფედერაციის უსუსურობის შედეგიცაა. შეცდომა თავიდანვეა დაშვებული ფედერაციის არჩევისას, კვლავ მიეცათ გასაქანი ძველ ბიუროკრატებს, რომელთაც ქრთამის გემო ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. მათი გარდაქმნა შეუძლებელია. აქედან მომდინარეობს ყოველგვარი დამახინჯებები.

ვილაპარაკოთ მსაჯობაზე. არ შევუდგებით მსაჯთა ცოდვების ჩამოთვლას, გულშემატკივრებმა კარგად იციან ვინ, სად და როგორ იმსაჯა. ინციდენტების უმრავლესობაც, სწორედ ამ ვაიმსაჯობის შედეგია. შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ მსაჯმა ისეთი შეცდომა არ უნდა დაუშვას, რომ მატჩის საბოლოო შედეგზე იმოქმედოს. რა ზომებს მიმართავს ფედერაცია?

მეორე ეროვნულ ჩემპიონატში ო. გუნთაძემ იმსაჯა ქუთაისისა და ფოთის გუნდების მატჩი ქუთაისში, სადაც ფოთელ ფეხბურთელებს გატანილი გოლი არ ჩაუთვალა, მას მეორე ჩემპიონატის დამთავრებამდე აუკრძალეს მსაჯობა. დაიწყო თუ არა მესამე ჩემპიონატი, ო. გუნთაძე კვლავ ქუთაისში მიავლინეს სამტრედიისა და ქუთაისის გუნდების სამსაჯოდ. ეჭვები შორს მიდის. თუ როგორ იმსაჯა მან ქუთაისისა და სამტრედიის გუნდების თამაში, კარგად არის ჩამოყალიბებული სამტრედიის გუნდის ხელმძღვანელობის საპროტესტო წერილში, რომელიც ამას წინათ „ლელოში“ გამოქვეყნდა.

მთელ რიგ კლუბებში პრეზიდენტებად და გუნდების უფროსებად საქმოსნები დანიშნეს, ისინი ერთთავად იმას ფიქრობენ, თუ როგორ დააგროვონ კაპიტალი, წარმოება-დაწესებულებებისგან, ხალხისგან კრეფენ სოლიდურ თანხებს და მერე კი, მათი გულისწყრომა რომ არ დაიმსახურონ, ამიტომაც მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს. იწყება მსაჯთა მოსყიდვის კამპანიები. „მხოლოდ მოგება, რადაც უნდა დაგვიჯდეს!“ — აი, მათი დევიზი.

ზოგიერთ ფეხბურთელსაც ზედმეტად ანებივრებენ, ათასობით მანეთს უხდიან და, საინტერესოა საიდან? ეროვნულ ჩემპიონატში ხელფასი ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარებისა და საჩივრების განმხილველი კომისიის დასკვნა სამართლიანად მიგვაჩნია, იგი დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.

ტრისტან მანია,
ქ. ფოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება, კონკურსი!

ფილიპინებში სექტემბრის მიწურულს იწყება მატჩი ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე ქალთა შორის. მეტოქეები — მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) და პრეტენდენტი სე ჯუნი (ჩინეთი) მატჩს სექტემბრის ბოლოს დაიწყებენ.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „მერანის" რედაქცია აცხადებს კონკურსს.

საკონკურსოდ რედაქცია გთავაზობთ სამ შეკითხვას —

1. რამდენი პარტია გათამაშდება მატჩში?
2. როგორ დამთავრდება მატჩი და რა ანგარიშით?
3. რამდენი პარტია დამთავრდება შედეგიანად. ე. ი. ერთ-ერთი მხარის მოგებით?

კონკურსის პირობები ასეთია:

თითოეულმა მსურველმა კონკურსში მონაწილეობისათვის ორგანიზატორის (გაზეთ „მერანის" რედაქცია) ანგარიშზე (თბილისი. საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკი, № 100609529) უნდა ჩარიცხოს 50 მანეთი, შემდეგ ცალკე ფურცელზე გარკვევით დაწეროს ყველა შეკითხვა და თითოეული შეკითხვის პასუხი. (მხოლოდ ერთი ვარიანტი) ყოველ დამატებით ვარიანტზე დამატებით უნდა ჩარიცხოს 25-25 მანეთი და საფოსტო ქვითართან ერთად წარმოადგინოს ან გამოაგზავნოს რედაქციაში ფოსტით, წერილის ჩაბარების შეტყობინებით 25 სექტემბრის ჩათვლით.

კონკურსს შეაჯამებს კომპეტენტური კომისია, გამარჯვებულები, რომლებიც სწორად გამოიცნობენ სამივე შეკითხვას, დაჯილდოვდებიან შემოსული თანხის 60 პროცენტით.

იჩქარეთ, ჭადრაკის მოყვარულებო!

დაწინაურდნენ მასპინძლები

მონრეალი. კანადის თასის მეხუთე გათამაშების ფინალში დაწინაურდნენ მასპინძლები. როგორც უკვე ვიუწყებოდით, მთავარი პრიზისთვის ბრძოლის უფლება კანადისა და აშშ-ის ჰოკეისტებმა მოიპოვეს. მათი პირველი ორთაბრძოლა, რომელსაც სადგილობრივ „ფორუმში" 17543 მაყურებელი ესწრებოდა, დამთავრდა კანადელთა დამაჯერებელი გამარჯვებით — 4:1.

პირველ პერიოდში მასპინძლებმა ერთადერთი შაიბა გაიტანეს (დეჟარდენი). მეორე პერიოდში ბრძოლა უაღრესი დაძაბულობითა და სიმძაფრით გამოირჩეოდა, რაც სხვათა შორის, ანგარიშსაც ეტყობა. ერთი შაიბა კანადელმა ლორმენმა გაიტანა, მეორე — ამერიკელმა სუტერმა. მასპინძელთა სრული უპირატესობა გამოიკვეთა მესამე პერიოდში, როცა მესიემ და სატერმა კიდევ ორჯერ შეარხიეს ამერიკელთა კარის ბადე.

ახლა ჰოკეისტები ჰამილტონში გადავიდნენ, სადაც გაიმართება მეორე და, თუ საჭირო გახდა, მესამე შეხვედრაც.

კერპებს დაფასება ეგებით

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ 60-იანი წლების თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, 1964 წლის ტაშკენტის მატჩის მონაწილე ჯემალ ზეინკლიშვილი. ამ ფეხბურთელმა კარგად იცოდა თავისი საქმე და არაერთი ცნობილი ფორვარდისთვისაც გაუმწარებია სიცოცხლე მოედანზე. მოგეხსენებათ, ახლა ტრადიციად იქცა გარდაცვლილ სპორტსმენთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირების ჩატარება. არადა, დაგვეთანხმებით, ძალმოხდილ ვეტერანებს სიცოცხლეშივე ეგებით დაფასება, რა შეედრება იმას, როცა სარბიელს ჩამოშორებული სპორტსმენი გრძნობს, რომ გულშემატკივრებს ახსოვთ თავიანთი ძველი კერპი და განსაკუთრებულ პატივსაც მიაგებენ მას. ყველამ ვნახეთ, როგორ გაახალისა მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი მათი სახელობის ტურნირებმა. სპორტის სასახლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე მაშინ თბილისის „დინამო-64"-ის შემადგენლობაში ჯემალ ზეინკლიშვილიც ვიხილეთ. ვეტერანისადმი სწორედ ასეთ პატივისცემად უნდა ჩაითვალოს ფეხბურთელის მშობლიურ ქალაქ ბორჯომში ჩატარებული ჯემალ ზეინკლიშვილის ტურნირი. ასპარეზობაში თავდაპირველად 10 გუნდი ჩაება: ბორჯომის „თორი", თბილისის გუნდები „მთვარის გლობუსი", „კავკასიონი-I", „კავკასიონი-II", „ივერია-78", „ბერმუხა", თელავის „თელავი-I" და „თელავი-II", გორის „ქართლი" და სურამის „სურამი".

დაძაბული და საინტერესო მატჩების შემდეგ ნახევარფინალებს თბილისის ოთხი გუნდი შემორჩა. აქ კი „კავკასიონი-I-მა" დაამარცხა „მთვარის გლობუსი" — 1:0, ხოლო „ივერია-78-მა" სძლია „ბერმუხას" — 2:0. ასე რომ, ფინალში „კავკასიონი-I" (მწვრთნელი გ. მაისურაძე, მენეჯერი ზ. სიმონიშვილი) შეხვდა „ბერმუხას" (მწვრთნელი ბ. ბოლაშვილი.) აშკარა იყო, რომ „კავკასიონი-I-მა" შეძლო ფინალური შეხვედრისათვის ძალების დაზოგვა, რისი დასტურიც მათ მიერ თანაქალაქელთა კარში გატანილი სამი „მშრალი" ბურთი გახლდათ. ეს, უპირველესად, მათი მეკარის გია ლომაიას დამსახურებაა. მესამე ადგილზე გავიდა „მთვარის გლობუსი".

დაწესებული იყო სპეციალური პრიზები — საუკეთესო მეკარეებად „კავკასიონი-II-სა" და „თელავი-I-ის" კარის დარაჯები ზ. ბახტაძე და დ. თანდილაშვილი აღიარეს, ათი გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა „კავკასიონი-I-ის" თავდამსხმელი გ. კვარაცხელია, საუკეთესო მცველის პრიზი ბორჯომელ ზ. წიქარიშვილს ხვდა წილად, საუკეთესო ფეხბურთელის — ლ. ბაჯელიძეს („ბერმუხა"), საუკეთესო გამთამაშებლისა — დ. გონაშვილს („კავკასიონი-I"). ტურნირის ყველაზე ნორჩი მოთამაშის პრიზი გადაეცა ლ. ძაგანიას („კავკასიონი-I").

გამარჯვებულნი და საუკეთესოებად აღიარებული ნორჩი ფეხბურთელები თავად ჯემალ ზეინკლიშვილმა დააჯილდოვა.

ტურნირის სპონსორები იყვნენ კოოპერატივი „მერანი" (თავმჯდომარე ს. სოლომონაშვილი), საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო (უფროსი თ. კოჩობაშვილი) და კომუნალურ საწარმოთა კომბინატი (უფროსი მ. ვარდიაშვილი).

ტურნირმა ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია და ამიტომაც მასპინძლებმა გადაწყვიტეს, იგი ტრადიციულად აქციონ.

მზია მებაღიშვილი

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული თბილისის „კავკასიონი I"

25 წლის გადასახედიდან...

მკითხველისთვის, ცხადია, საინტერესო იქნება, თუ რას ფიქრობენ 1966 წლის ინგლისელი მსოფლიო ჩემპიონები ამ ქვეყნის ახლანდელი ნაკრების შესახებ.

გორდონ ბენქსი: ინგლისის ახლანდელი ნაკრები საკმაოდ კარგად თამაშობს. მაგრამ არის ერთი გარემოება: როცა ინგლისელები თამაშობენ, ისევე, როგორც ვთქვათ, ბრაზილიელები და იტალიელები, გულშემატკივარი სპექტაკლს მოელის. სხვა საკითხია, რამდენჯერ ნახულობს იგი ამ სპექტაკლს.

რეი უილსონი: პირდაპირ ვთქვათ, მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ინგლისის ნაკრებს ამჟამად არ ჰყავს, როდემდე უნდა ვიყოთ კვლავ ბრაიან რობსონისა და ჯონ ბარნსის იმედზე? ანდა ეს ორი ოსტატი იმდენს რას შეძლებს!

ნობი სტაილზი: მე არ ვიზიარებ მრავალრიცხოვანი კრიტიკოსების აზრს, რომლებიც ხან რას მოიგონებენ და ხან რას. ერთი სიტყვით, მწამს ინგლისის ახლანდელი ნაკრების ძალისა. ჩემს დროს ნაკრებს ჰყავდა ნამდვილი ლიდერი — ბობი ჩარლტონი, რომელიც მშვენივრად წარმართავდა თამაშს. ჩემი აზრით, ახლა ღირსეული ლიდერია პიტერ ბერდსლი.

ბობი მური: ჩვენ შესანიშნავი მეკარეებიც გვყავს, მცველებიც და თავდამსხმელებიც. დავასახელებდი ლინეკერს, რობსონს, ბარნსს, ბერდსლისა და უოდლს — ყველა ისინი ჩინებული ოსტატები არიან და დიდი წარმატების მიღწევაც შეუძლიათ. როგორც იტყვიან, საჭიროა ცოტაოდენი იღბალიც.

ჯეკი ჩარლტონი: მე ახლა ინგლისის ნაკრებს ვუყურებ არა როგორც ამ გუნდის ყოფილი მოთამაშე, არამედ, თუ გნებავთ, მისი მეტოქის — ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი. რა თქმა უნდა, დღეს მსოფლიოში მასზე უკეთესი გუნდებიც არიან. რა ვუყოთ მერე! ჩემთვის გაუგებარია, რას ემართლება ზოგიერთი სპეციალისტი ლინეკერს, ზოგჯერ ასე მკაცრად რომ ესხმიან თავს. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც გუნდში გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდეს. თავის დროზე ლინეკერი ჯეროვნად არ შეაფასეს „ბარსელონაში", მაგრამ განა ეს გვაძლევს უფლებას, იგი არასაკმაოდ მაღალი კლასის ცენტრალურ თავდამსხმელად მივიჩნიოთ?!

ალან ბოლი: მთელი ამ პერიოდის მანძილზე ინგლისის ნაკრების დიდ გულშემატკივრად დავრჩი. ახლა, როცა გოლის გატანა ასე გაჭირდა, ინგლისელებს ეს არ უნდა აფიქრებდეთ — მათ ძალიან კარგი თავდამსხმელები ჰყავთ.

ბობი ჩარლტონი: წინასწარ ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ რას მიაღწევს უახლოეს შეჯიბრებებში ინგლისის ნაკრები. მაგრამ მე მჯერა პოლ გასკოინისა, რომელიც ძალიან ნიჭიერია და მისი თამაში განაპირობებს კიდეც ინგლისელების წარმატებებს. ჩემი აზრით, ნეილ უებიც ბრწყინვალედ თამაშობს.

ჯეფრი ჰერსტი: ინგლისის ახლანდელ ნაკრებს არა ჰყავს არტისტული მოთამაშეები, რომლებიც ჩვენს თაობას ჰყავდა და იმიტომაც იგებდა მაყურებელთა გულს. მე ახლანდელი გუნდის დიდი იმედი არა მაქვს.

როჯერ ჰანტი: თითქოს კარგი მოთამაშეებიც გვყავს და კარგი მწვრთნელიც, მაგრამ განა ეს საკმარისია მნიშვნელოვანი წარმატებების მისაღწევად? დიდი შეჯიბრებების ბედს წყვეტენ გენიალური მოთამაშეები, ისეთები, როგორიც თავისი ნაკრებისათვის მარადონა იყო. გვყავს თუ არა ინგლისელებს ისეთივე კლასის ფეხბურთელი? ვნახოთ, შეიძლება გასკოინმა მოინადიროს ქომაგების გული. როგორც იტყვიან, მომავალი გვიჩვენებს.

მარტინ პიტერსი: როგორც კი ჩვენი ნაკრები ისე ითამაშებს, თქვენ რომ მოელით, კრიტიკოსები, ასე რომ მომრავლდნენ, თავისთავად გაჩუმდებიან.

ყველანი — პერსონალურად

მსოფლიოს პირველი, 1930 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში ერთადერთი იყო, რომელსაც წინ არ უძღოდა შესარჩევი თამაშები. ყველა მისი მონაწილე პერსონალურად იქნა მიწვეული. საინტერესოა ისიც, რომ ყველა მატჩი ერთ ქალაქში, ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ჩატარდა. ასეთი „ექსპერიმენტი" შემდგომ, მოგეხსენებათ, აღარ გამეორებულა.

● **იტალიის** ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა წამყვანი კლუბების თხოვნა იმის თაობაზე, რომ მათ ნება დაერთოთ იყოლიონ 4-4 უცხოელი ფეხბურთელი და დაადგინა, რომ უცვლელი დარჩეს ძველი წესი. ამრიგად, იტალიის კლუბებში კვლავინდებურად 3-3 უცხოელი ფეხბურთელი ითამაშებს.

● **ცნობილი** საბჭოთა მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი ხელმძღვანელობს არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებს, რომელიც ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. გუნდის მოსამზადებლად მან აირჩია გერმანიის ქალაქ შტუტგარტის მახლობლად მდებარე სპორტული ბაზა.

● **გაიმართა** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 7:1, „ტორპედო" (მოსკოვი) — ცსკა 1:2, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „არარატი" (ერევანი) 3:1, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:0, „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) 2:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი), 2:3, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (მინსკი) 1:1, „პამირი" (დუშანბე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — 3:0.

საბჭოთა ფეხბურთში (მხედველობაში გვაქვს უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგები), არნახულად გაიზარდა წინასწარ შეთანხმებული, გარიგებული თამაშების რაოდენობა, მსაჯთა აშკარა არაობიექტურობა, უხეშობა, წესრიგის დარღვევა, ამიტომაც შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც ევალება ამ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა. ფედერაციის აღმასკომს უფლება აქვს, თუ გამოავლინა წინასწარ შეთანხმებული თამაში, გააუქმოს მისი შედეგი და ორივე გუნდს ჩამოართვას ქულები.

ასე იხუმრეს „ნეპ-სტადიონზე"

დრაგან ჯაიჩი, რომელიც 70-იან წლებში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მარცხენა გარემარბად ითვლებოდა (მას იუგოსლაველთაგან ყველაზე მეტი — 85 მატჩი აქვს ნათამაშები ეროვნულ ნაკრებში) კარგა ხანია, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ტექნიკურ დირექტორად მუშაობს. მას ხშირად სტუმრობენ ჟურნალისტები.

● **გახსოვთ, ნაკრებში თქვენი პირველი და უკანასკნელი მატჩები?**

— პირველი მატჩი 1964 წლის 17 ივნისს ვითამაშე, ბელგრადში რუმინელების წინააღმდეგ წავაგეთ 1:2, ამასთან, მეორე ტაიმში სილვესტერ ტაკაჩი შევცვალე. ნაკრებს გამოვეთხოვე 1979 წლის 16 სექტემბერს არგენტინელთა წინააღმდეგ შეხვედრაში, მატჩში, რომელშიც გავიმარჯვეთ 4:2.

● **თუ შეიძლება, რაიმე კურიოზული შემთხვევაც გაიხსენეთ თქვენი პრაქტიკიდან.**

— კურიოზული შემთხვევების მეტი რა იყო, მაგრამ ერთის გახსენება მამხიარულებს ხოლმე. 1977 წლის 5 ოქტომბერს ბუდაპეშტში უნგრელებს უნდა შევხვედროდით. „ნეპ-სტადიონზე" სავარჯიშოდ გავედით. ბევრი ექსპერტი თუ ჟურნალისტი მოვიდა ჩვენს სანახავად. როცა გუნდმა ვარჯიში დაამთავრა და ჩვენმა მოთამაშეებმა მინდორი დატოვეს, მწვრთნელმა მარკო ვალოკმა გადაწყვიტა ეხუმრა, დაეცინა ამ „დამკვირვებლებისთვის". ამიტომ, მან მინდორზე დამტოვა და მე, რომელსაც ნაკრებში იმ დროისათვის 84 მატჩი მქონდა ჩატარებული, ყველას თვალწინ... „მამეცადინა" ფრთიდან საჯარიმოში ბურთის ჩაკიდებაში (რაც, კარგა ხანია, ჩემს სპეციალობად ითვლებოდა). ჟურნალისტები გაკვირვებით შემოგვყურებდნენ...

● **თქვენ უკვე 12 წელია „ცრვენა ზვეზდას" ტექნიკური დირექტორი ხართ...**

— ისე ნუ იფიქრებთ, რომ ყველა ახალგაზრდა იუგოსლაველ ფეხბურთელს ერთი სურვილი ამოძრავებს — მაინცდამაინც როგორმე „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობაში მოხვდეს. საქმე ასე არ არის. აი, ეროვნული ნაკრებისაკენ კი ყველა მიისწრაფვის. ასე, რომ, დიდი მუშაობა გვიხდება, რათა პერსპექტიულ მოთამაშეებს მოვუყაროთ თავი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი ● მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კახეთი" (თელავი)	6	5	0	1	28–8	15
„სქური" (წალენჯიხა)	6	5	0	1	19–7	15
„ივერია" (ხაშური)	6	5	0	1	15–8	15
„საპოვნელა" (თერჯოლა)	5	4	1	1	15–6	13
„სამეგრელო" (ჩხოროწყუ)	6	4	1	1	18–5	13
„მაღაროელი" (ჭიათურა)	6	3	2	1	11–6	11
„მეშახტე" (ტყიბული)	6	3	1	2	11–12	10
„არმაზი" (მცხეთა)	6	3	0	3	9–7	9
„გურია-2" (ლანჩხუთი)	6	2	2	2	12–11	8
„იმერეთი" (ხონი)	6	2	2	2	11–11	8
„დურუჯი" (ყვარელი)	6	2	2	2	8–8	8
„ეგრისი" (სენაკი)	6	2	2	2	8–11	8
„ჩიხურა" (საჩხერე)	6	2	1	3	8–10	7
„მერანი" (თბილისი)	6	2	1	3	6–9	7
„ქართლი" (გორის რ-ნი)	6	2	1	3	8–14	7
„შევარდენი" (ზუგდიდი)	6	1	2	3	5–11	5
„არმაზი-90" (თბილისი)	6	1	1	4	7–18	4
„შუქურა" (ქობულეთი)	6	0	3	3	7–12	3
„არაგვი" (დუშეთი)	6	0	1	5	4–16	1
„ფიზკ.ინსტ. (თბილისი)	6	0	1	5	8–18	1

ძველი ფორმულით

ნიუ-იორკში ახლახან გაიმართა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაადგინა, რომ შეჯიბრება ძველი ფორმულით მოეწყობა. გათამაშება დაიწყება 1994 წლის 17 ივნისს, პირველ მატჩში აუცილებლად მონაწილეობას მიიღებს გერმანიის გუნდი. ტურნირის მონაწილე 24 ფინალისტი პირველ წრეში განაწილდება 6 ჯგუფად, თითოეულში — 4-4 გუნდი. 16 საუკეთესო გააგრძელებს ბრძოლას მეორე წრეში, რომელიც 4 ივლისს დაიწყება. ნახევარფინალური შეხვედრები შედგება 12 და 13 ივლისს, ხოლო ფინალური მატჩი — 17 ივლისს.

ჩემპიონატის მატჩების მასპინძლობის სურვილი თავიდან ჰქონდა 24 სტადიონს, მათგან ამჟამად კონკურსს შემორჩა 17, რომლებიც 50-დან 70 ათასამდე მაყურებელს იტევენ. მაგრამ საჭირო გახდება ზოგიერთი ამ სტადიონის რეკონსტრუქცია, ვინაიდან მოედნები აქ ხელოვნურსაფარიანია. ეს კი გამოუსადეგარია ევროპული ფეხბურთისთვის.

ტანმოვარჯიშეთა მედლები

1991 WORLD GYMNASTICS CHAMPIONSHIPS INDIANAPOLIS, SEPTEMBER 6-15

ინდიანაპოლისი. აშშ-ის ამ ქალაქში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ტანვარჯიშში. ვაჟთა შორის წარმატებას, უმთავრესად, მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიგეს გუნდური ტურნირი და ყველაზე მეტი ოქროს მედალი პირად ჩათვლაში. აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ლუგანსკელი გრიგორი მისიუტინი, მასვე მიეკუთვნა პირველი ადგილი რგოლებზე 9,875 ქულა. თავისუფალ ვარჯიშში ოქროს მედალი დაიმსახურა მისმა თანაქალაქელმა იგორ კორობჩინსკიმ — 9,875. ტაიჭზე უძლიერესი ბაქოელი ბელენკი იყო — 9,912.

შედარებით წარუმატებლად გამოვიდნენ ქალები, თუმცა გუნდური პირველობა აქაც საბჭოთა ნაკრებს ხვდა, აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა ამერიკელმა კიმ ზმესკალმა. დვირზე უძლიერესი მინსკელი სვეტლანა ბოგინსკაია იყო — 9,962, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში პირველობა ორ ტანმოვარჯიშეს მიეკუთვნა — რუმინელ კრისტინა ბონტაშს და ტაშკენტელ ოქსანა ჩუსოვიტინას — 9,962 თითოეულს.

ველოსიპედით მსოფლიოს გარშემო

1988 წლის ოქტომბერში კანადის ქალაქ კალგარიდან კანადელისა და ავსტრალიელის წყვილმა — გორდონმა და მარგარეტმა დაიწყეს დედამიწის გარშემო მოგზაურობა ველოსიპედებით.

სტარტის ადგილიდან მეუღლეებმა უკვე გაიარეს 47 ათასი კილომეტრი, იყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპაში...

ახლა ისინი შვეიცარიის გავლით სამხრეთით მიემართებიან. აღსანიშნავია, რომ გორდონს და მარგარეტს თან მიაქვთ მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ნივთები.

ველოსიპედისტები კანადაში დაბრუნებას 1992 წლის ოქტომბრისთვის ვარაუდობენ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ მოგზაურების ჩამოხდომას ბერნში (შვეიცარია).

კეისტონ საკდესის ფოტო

ტაქტიკური ბრძოლის იტალიური ნიმუში

„მუჯელოსა“ და „ბრნოს“ ავტომოტოდრომებზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო ორი ეტაპი საგზატკეცილო წრიულ მოტორბოლაში. გათამაშდა სან-მარინოს და ჩეხეთ-სლოვაკეთის „გრან პრი“.

ქალაქ ფლორენციასთან ახლოს მდებარე ტრასაზე საწვრთნელი რბოლების პირველ დღეს საუკეთესო შედეგი აჩვენეს ლორის კაპიროსიმ („ჰონდა 125“) და ლუკა კადალორამ („ჰონდა 250“). 500 კბ სმ-ში ყველაზე სწრაფი იყო კალიფორნიელი უეინ რეინი („იამაჰა“).

საწვრთნელი რბოლების მეორე დღეს დამტკიცდა, რომ იტალიელთათვის ადვილი არ იქნებოდა „გრან პრის“ მოგება. ლორის კაპიროსის გაუსწრეს ნობორუ უედამ და ალესანდრო გრამინიმ. 250 კბ სმ-ში ლუკა კადალორას არ ჩამორჩნენ ჰელმუტ ბრადლი და კარლოს კარდუსი. 500 კბ სმ-ში საუკეთესო იყო მაიკლ დუენი, შემდეგ — უეინ რეინი, ჯონ კოსინსკი და კევინ შვანცი.

„ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლებისაგან განსხვავებით, სადაც დიდი ხანია იტალიელები „მთავარ როლებს“ აღარ ასრულებენ, მოტორბოლაში, პირიქით, ისინი არიან ტონის მიმცემნი. ლორის კაპიროსი და ლუკა კადალორა წელს ნამდვილად იმსახურებენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ახალგაზრდა რომაელმა პილოტმა გაუძლო თანაგუნდელის, ფაუსტო გრეზინის შეტევებს, მაგრამ აქ იმარჯვა გერმანელმა პეტერ ოეტლმა („როტაქსი“). მოდენელმა მოტომრბოლმა, უკვე ფინიშამდე ორი წრით ადრე იცოდა რომ „გრან პრის“ მოიპოვებდა, რადგან მისი მთავარი მეტოქე ჰელმუტ ბრადლი კატასტროფაში მოჰყვა. 500 კბ სმ-ში მეხუთე გამარჯვება იზეიმა უეინ რეინიმ.

ორმა იტალიელმა მოტომრბოლმა საუკეთესო სანახაობა მოაწყო „მუჯელოზე“, 100 ათასი მაყურებლის თვალწინ. ლორის კაპიროსი მშვიდად აკონტროლებდა რბოლას და მეორე ადგილის შენარჩუნებით ცდილობდა ჩემპიონატში ლიდერის პოზიციის განმტკიცებას. ლუკა კადალორამ კი, პირიქით, რბოლის უფრო აგრესიული მანერა ირჩია.

სტარტის შემდეგ ჰელმუტ ბრადლი ელვისებური სისწრაფით გაიჭრა წინ და მას კადალორაც მოჰყვა. მათ ისეთი სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეებს, რომ უმეტესობისთვის დაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. მოდენელი პილოტი ელოდა მომენტს, როცა გასწრების საუკეთესო შანსი მიეცემოდა. ამ პერიოდში მან ტრასის რეკორდიც დაამყარა — საათში 160 კილომეტრი სიჩქარით ერთი წრე 1 წუთსა და 57,865 წამში დაფარა. ფინიშამდე ორი წრით ადრე კადალორამ შეამჩნია, რომ ბრადლი დაიღალა, ტემპი შეანელა და სწორედ ამ დროს გადაუსწრო მეტოქეს. გერმანელ პილოტზე ამან ძალიან იმოქმედა. იგი მთლად მოდუნდა, დაკარგა რბოლისადმი ინტერესი და, როგორც მოსალოდნელი იყო, მას ყველა მეტოქემ გაუსწრო. ამას ისიც დაემატა, რომ ერთ-ერთი მოსახვევის გავლისას ბრადლმა წონასწორობა დაკარგა და დაეცა. ლუკა კადალორამ მეშვიდედ გაიმარჯვა წლევანდელ სეზონში. მეორე ადგილზე გავიდა კარლოს კარდუსი, მესამე იყო ლორის რეჯიანი, რომელიც კვლავ დაუბრუნდა სარბიელს „დონინგტონ პარკში“ რბოლის დროს მიღებული მძიმე ტრავმისაგან გამოჯანმრთელების შემდეგ.

ლორის კაპიროსი

500 კბ სმ-ში სტარტის შემდეგ დაწინაურდა უეინ რეინი. მას მაიკ დუენი („ჰონდა“) და კევინ შვანცი („სუძუკი“) „გამოეკიდნენ“.

გადამწყვეტი მომენტი დადგა მაშინ, როცა ლიდერთა ტრიო ერთი წრით ჩამორჩენილ მოტომრბოლთა ჯგუფს მიუახლოვდა. რეინიმ ტრასის სწორ მონაკვეთზე გადაასწრო ერთ-ერთ მეტოქეს. დუენი და შვანცი შეფერხდნენ და კალიფორნიელმა პილოტმა ისინი 2 წამით ჩამოიტოვა. მოგვიანებით შვანცმა გაუსწრო დუენს და იგი ერთი წამით ჩამოიტოვა.

უეინ რეინიმ (აშშ. „იამაჰა“) მეხუთე „გრან პრი“ მოიპოვა წელს და განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. 22 წრე (125,880 კმ) კალიფორნიელმა პილოტმა დაფარა 46 წუთსა და 8, 566 წამში (საშუალო სიჩქარე საათში — 163,683 კმ).

წარსულში ცნობილი რუმინელი ჩოგბურთელი და ბორის ბეკერის ყოფილი მწვრთნელი, იონ ცირიაკი სათავეში ჩაუდგა ფედერაციას, რომელიც საგანგებოდ ცალკე ჩემპიონატის ჩატარებას აპირებს 500 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით რბოლაში. ამ იდეას მხარს უჭერენ თვით მოტომრბოლებიც. სამაგიეროდ, წინააღმდეგია მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოს ვაესენი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს არ დაუშვას „ვილაც-ვილაცეების“ თვითნებური მოქმედება. მან მოახერხა ის, რომ საკითხის განხილვა მომავალი წლისთვის გადაედოთ და თან დაუმატა, რომ თუ ყველაფერი დადებითად გადაწყდება, ჩემპიონატის ჩატარება მხოლოდ 1993 წელს მოხერხდებაო.

ჩეხეთ-სლოვაკეთის „გრან პრის“ გათამაშებამდე ორი დღით ადრე სარბოლო გუნდების საერთაშორისო ასოციაცია და მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია შეთანხმდნენ, ოქტომბერში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც გაირკვევა საკითხი ე. წ. „მსოფლიო სერიების“ მოწყობის შესახებ.

„ბრნოს“ ტრასაზე საწვრთნელი რბოლის ბოლო დღეს ყველაზე სწრაფი იყო ლორის კაპიროსი („ჰონდა 125“). 250 კბ სმ-ში საუკეთესო დრო აჩვენა ჰელმუტ ბრადლმა, მეორე იყო კარლოს კარდუსი, მესამე — ლუკა კადალორა. 500 კბ სმ-ში უსწრაფესი იყო რეინ-დუენ-შვანცის ტრიო. ედი ლოუსონი (აშშ, „კაჯივა“) მერვე იყო.

125 კბ სმ-ში, ზედიზედ მეორედ, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ლორის კაპიროსიმ („პილერ-ჰონდა“). 18 წლის რომაელმა პილოტმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო „გრან პრი“ ალესანდრო გრამინიმ მოიგო. იტალიელმა მოტომრბოლმა „აპრილას“ მოტოციკლით პირველი გამარჯვება იზეიმა.

ეს იყო ნამდვილი იტალიური პაექრობა. პირველი სამი ადგილი ალესანდრო გრამინიმ, ლორის კაპიროსიმ და გრამინის თანაგუნდელმა, გაბრიელე დუბიამ მოიპოვეს. კაპიროსის თანაგუნდელმა და მთავარმა მეტოქემ ფაუსტო გრეზინიმ კი მხოლოდ მეექვსე ადგილზე გასვლა შეძლო და დარჩენილი ერთი ეტაპის მოგებას მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს.

ლორის კაპიროსი უკვე მზადაა 250 კბ სმ-ში გადასასვლელად. სექტემბრის ბოლოს გაირკვევა, რომელი ფირმის ძრავას მიიღებს „პილერის“ გუნდი. ალბათ, ისევ „ჰონდას“, თუმცა კონტრაქტის დადებას ცდილობენ „აპრილაც“ და „ჯილერაც“.

250 კბ სმ-ში არ გაუმართლა ლუკა კადალორას, რომელსაც მეორე ადგილიც ჰყოფნიდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. „გრან პრი“ მოიგო მოდენელი პილოტის მთავარმა მეტოქემ, გერმანელმა ჰელმუტ ბრადლმა („ჰონდა“), მეორე იყო ესპანელი კარლოს კარდუსი. კადალორა ახლა 31 ქულით უსწრებს ბრადლს — იტალიელ პილოტს, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონს 125 კბ სმ-ში, შეუძლია უძლიერესის სახელი მოიპოვოს უკვე „ლე მანის“ ავტომოტოდრომზე გამართულ რბოლაში.

500 კბ სმ-ში მეექვსედ გაიმარჯვა უეინ რეინიმ („იამაჰა“). მან დაამარცხა ავსტრალიელი მაიკლ დუენი („ჰონდა “), ახლა მათ შორის სხვაობა 18 ქულას შეადგენს.

აქაც, ისევე, როგორც 250 კბ სმ-ში, ორი „გრან პრი“ დარჩა გასათამაშებელი და ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვინ გახდება მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონი.

დავით ჩუბინიძე

მკითხველი გაზეთი

პატივცემულო რედაქციავ! რომ არაფერი ვთქვათ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოში ბევრი რეგიონალური კომპლექსური შეჯიბრება იმართება. ჯერ ერთი, საინტერესოა, რომელი შეჯიბრება როდიდან ტარდება და მეორეც, არის თუ არა შანსი, რომ ევროპამაც დააარსოს თავისი რეგიონალური თამაშები?

ვ. ჯოხთაბერიძე

კომპლექსური სპორტული შეჯიბრებები მეტწილად ოლიმპიადებს-შუა პერიოდებში იმართება და მათ, როგორც წესი, საფუძვლად უდევთ ოლიმპიზმის პრინციპები. ერთ-ერთი პირველი ასეთი კომპლექსური შეჯიბრება გახლავთ ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის თამაშები, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1926 წელს. 1938 წლიდან ეწყობა ე. წ. ბოლივარის თამაშები, რომლებიც, ფაქტობრივად, ლათინური ამერიკის მთელ კონტინენტს მოიცავს.

1951 წელს ჩატარდა აზიის, პანამერიკული და ხმელთაშუაზღვის თამაშები (ცხადია, ცალ-ცალკე). 1965 წელს — აფრიკის, 1969 წელს კი ოკეანეთის თამაშები. არის კიდევ ასეთი რეგიონალური შეჯიბრებები — „სამხრეთის ჯვრის“, დასავლეთ აფრიკის, თანამეგობრობის, ინდოეთის ოკეანის, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის თამაშები და სხვა.

რაც შეეხება პანევროპულ თამაშებს, მისი ჩატარების იდეა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მისი განხორციელება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

◆

პოპულარობის საზომი

ამერიკელები სპორტსმენის პოპულარობას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით განსაზღვრავენ. ერთი ასეთი საზომი გახლავთ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ამერიკული სპორტული ჟურნალის — „სპორტს ილუსტრეიტედის“ გარეკანზე მოხვედრა. ამ ნიშნით უძლიერესთა თერთმეტეული ასე გამოიყურება:

მოჰამედ ალი (კრივი) — 31-ჯერ
ქარიმ აბდულ-ჯაბარი (კალათბურთი) — 27
ჯეკ ნიკლაუსი (გოლფი) — 23
პიტ როუზი (ბეისბოლი) — 17
მეჯიკ ჯონსონი (კალათბურთი) — 17
არნოლდ პალმერი (გოლფი) — 14
ბილ უოლტონი (კალათბურთი) — 14
უეინ გრეცკი (ჰოკეი) — 12
მაიკლ ჯორდანი (კალათბურთი) — 12
რეჯი ჯეკსონი (ბეისბოლი) — 10
ჯონ მაკინროუ (ჩოგბურთი) — 10

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 სექტემბერს.

რედაქტორი
თენგიზ ბაჩიჩილაძე

ავლაბრის სტადიონი
(ზოჯორმის ქ. № 18)

18 სექტემბერი



ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(II ჯგუფი)

„ანცი“ (თბილისი) —
„მამული“ (დიდი ჭყონი)

დასაწყისი 16 საათზე და 30 წუთზე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე, კორექტორები მ. ძიძამიძე, ც. ჩიტიშვილი.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, ვ. კოსტავას ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.